

„ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული
ბანკის ვიცე-პრეზიდენტის
2004 წლის 30 დეკემბრის
N840 განკარგულებით

1. შესავალი

1. „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს (შემდგომში „სახელმძღვანელო“) მიზანია შემოწმების პროცედურების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს კომერციული ბანკების (შემდგომში „ბანკი“ შემოწმება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების (შემდგომში „ფულის გათეთრების“) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

2. სახელმძღვანელოს მეშვეობით განხორციელებული შემოწმებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ბანკის პოლიტიკისა და ამ კუთხით პრაქტიკაში გატარებული ღონისძიებების ადეკვატურობის შეფასება მოქმედი კანონმდებლობითა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ბანკებისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან.

3. სახელმძღვანელოს მეშვეობით განხორციელებული შეფასება უნდა იძლეოდეს იმის საიმედო საფუძველს, რათა ბანკის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით განსაზღვრული იქნას თუ როგორ აკმაყოფილებს ბანკში მოქმედი „ფულის გათეთრების“ საწინააღმდეგო სისტემა სახელმწიფოს მიზნებს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორისტული აქტების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

4. ბანკების შემოწმება „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც CAMEL-ის სისტემით ბანკის ადგილზე კომპლექსური შემოწმების პარალელურად, ასევე მისგან დამოუკიდებლად, როგორც ბანკის თემატური შემოწმება.

5. შემოწმების შედეგებით უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად იცავს ბანკი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს

კანონისა (შემდგომში კანონი) და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

6. სახელმძღვანელო შემუშავებულია “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 16.06.2003 N17) საქართველოს კანონისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების არსი

1. იარაღით უკანონო ვაჭრობა, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვა, კორუფცია, კომპიუტერული მაქინაციები და სხვა სახის დანაშაულებები წარმოშობს დიდ მოგებას და შესაბამისად დიდი ოდენობის ფულად სახსრებს, რომლის ლეგალიზაცია, ანუ კანონიერ ფინანსურ და ქონებრივ სივრცეში გადატანა ერთის მხრივ, დიდ მნიშვნელობას იძენს თვით კრიმინალური წრეებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემას.

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის უკანონო საქმიანობიდან მიღებული ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის, ანდა ქონებრივი უფლების დამალვა.

3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მრავალი ხერხი არსებობს, დაწყებული საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების განთავსებით მათი შემდგომი გადარიცხვის მიზნით, დამთავრებული ძვირფასი ნივთების და უძრავი ქონების შეძენით. უკანონო ფინანსური სახსრები ასევე შეიძლება ბრუნავდეს მთელი რიგი რთული საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების განხორციელების გზით. ფულის გათეთრების სქემები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, ხშირად იცვლება და შესაბამისად, დროის ნებისმიერი მომენტისათვის შეუძლებელია ფულის გათეთრების მეთოდებისა და მექანიზმების სრული და ცალსახა ჩამონათვლის განსაზღვრა.

4. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში არ არის მიღებული ტერორიზმის ცალსახა განმარტება, საქართველოში, ისევე როგორც ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც მიერთებულია გაერთიანებული ერების 1999 წლის „ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას, ტერორიზმის დაფინანსების განმარტებისათვის გამოიყენება აღნიშნულ კონვენციაში მოცემულ ტერორიზმის დაფინანსების განმარტება.

5. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან განსხვავებით, ტერორიზმის დაფინანსების მიზნით შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც უკანონო, ისე კანონიერი

შემოსავალი, რაც მეტად ართულებს ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების გამოვლენას.

3. პასუხისმგებლობები

1. მოქმედი კანონის შესაბამისად ბანკების მიერ “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების ადეკვატურობის შემოწმებაზე პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი, რომელსაც წარმოადგენს მისი საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს სპეციალურ დავალებათა განყოფილება (შემდგომში “სპეციალური განყოფილება”).

2. ბანკებში „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შემოწმება წარმოებს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების შესაბამისად, სპეციალური განყოფილების თანამშრომლებისაგან დაკომპლექტებული შემოწმებელთა ჯგუფის (შემდგომში „შემოწმებელი“) და/ან ეროვნული ბანკის სხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ.

3. დაკისრებული მოვალეობის შესრულების მიზნით სპეციალურმა განყოფილებამ უნდა განახორციელოს შემდეგი:

ა) უზრუნველყოს, რომ რეგულარულად შემოწმდეს ბანკების შესაბამისობა მოქმედ კანონთან და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ბანკებისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან;

ბ) იქონიოს და განახლოს შემოწმების სახელმძღვანელო მითითებები, უზრუნველყოს შემოწმებების ჩატარება და შესაბამისი შემოწმების აქტების მომზადება ამ სახელმძღვანელოში მოცემული პროცედურების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს, რომ ყველა შემოწმებელი იცნობდეს მოქმედ კანონსა და სხვა შესაბამის ნორმატიულ აქტებს და შეეძლოთ ბანკებში “ფულის გათეთრების” ოპერაციების გაანალიზება და განსაზღვრა;

დ) უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა შესაძლებლობის ფარგლებში გამოკვლეული იქნას საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი და მოქმედი ბანკის კაპიტალის წარმოშობის წყაროები, მნიშვნელოვანი წილის მფლობელების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები;

ე) რეკომენდაცია გაუწიოს ბანკების ზედამხედველობის სპეციალურ კომისიას „ფულის გათეთრების“ ბრძოლასთან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით და თვალყური ადევნოს ამ ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელებას;

ვ) აწარმოოს შემოწმებების რაოდენობის, შემაჯამებელი შედეგების, საერთო შეფასებების და გატარებული საზედამხედველო ღონისძიების სტატისტიკა და ანალიზი;

- ზ) შეისწავლოს ის ბანკები, რომელზეც არსებობს მიზეზები ვარაუდისა, ან არსებობს შემმოწმებლებისაგან და/ან სხვა გარეშე წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, რომ ბანკი აწარმოებს „ფულის გათეთრების“ ოპერაციებს;
- თ) მიაწოდოს ინსტრუქციები და მითითებები ბანკის მენეჯმენტს „ფულის გათეთრების“ განსაზღვრასთან, მის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკასა და პროცედურებთან დაკავშირებით;
- ი) შეისწავლოს და დანერგოს „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული ნორმები და მეთოდები;
- კ) უზრუნველყოს „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით ბანკის შემოწმების აქტების ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემა, დაეხმაროს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ბანკებში „ფულის გათეთრების“ საქმიანობის გამოვლენასა და შეჩერებაში;
- ლ) მოამზადოს წლიური ანგარიში გაწეულის საქმიანობის შესახებ.

4. შემოწმების მიზანი და მასშტაბი

1. კომერციული ბანკების შემოწმება „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში მიზნად ისახავს:

ა) ბანკის პოლიტიკის, პროცედურების და შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობის და ეფექტურობის შეფასებას;

ბ) ბანკის პოლიტიკის, პროცედურების და შიდა კონტროლის სისტემის კანონთან და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობის განსაზღვრას;

გ) ბანკის „ფულის გათეთრების“ რისკის სიდიდის განსაზღვრავს და მისი მართვის სტრუქტურის შეფასებას;

დ) ბანკის სასწავლო პროგრამის ადეკვატურობის შეფასებას;

ე) ბანკის პოლიტიკის, პროცედურებისა და შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობაში გამოვლენილ სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ბანკისათვის გამოსასწორებელი ღონისძიებებისათვის აუცილებელი რეკომენდაციებისა და სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრას.

2. „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ბანკების შემოწმების პროცესმა უნდა მოიცვას:

* „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკა;

* შიდა კონტროლის პოლიტიკა (კლიენტის იდენტიფიკაციის წესი, ინფორმაციის ანალიზის, საექვო გარიგების გამოვლენისა და ინფორმაციის გადაცემის წესი და სხვა) ;

* მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელის (ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის) უფლება-მოვალეობანი ;

* წარმოებული ოპერაციები და მომსახურება;

* დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სისტემატიზაცია და შენახვა;

* შიდა აუდიტის პოლიტიკა და პრაქტიკა;

* ბანკის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა (ტრენინგები).

ბ) შესაბამისობის შეფასება კანონისა და სხვა ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან.

გ) მენეჯმენტის შეფასება, სადაც უნდა აისახოს:

* მენეჯმენტის როლი და უნარი ჩამოაყალიბოს ადეკვატური პოლიტიკა, პროცედურები და შიდა კონტროლის სისტემა, რათა უზრუნველყოფილ იქნას კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა;

* მენეჯმენტის ძალისხმევა პოლიტიკის, პროცედურების და შიდა კონტროლის სისტემის დანერგვაზე და მასზე ზედამხედველობის განხორციელების საკითხებში;

* მენეჯმენტის მიერ ბანკში წარმოებული თითოეული პროდუქტისა და მომსახურების “ფულის გათეთრების” რისკის შეფასება;

* მენეჯმენტის მიერ “ფულის გათეთრების” საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის ადეკვატურად, ზუსტად და დროულად ფლობა.

5. შემოწმების მეთოდოლოგია

1. შემოწმებლების მიერ ბანკის შემოწმება ხორციელდება შერჩევითი მეთოდის გამოყენებით მოქმედი კანონმდებლობისა და ამ სახელმძღვანელოს შესაბამისად.

2. შემოწმების დაწყებამდე შემოწმებლები უნდა შეხვდნენ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებს, რათა განხილულ იქნას ნებისმიერი ის პრობლემა და რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას და/ან სპეციალურ ყურადღებას შემოწმების პროცესისას.

3. შემმოწმებლებმა უნდა მოითხოვონ ინფორმაცია ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან ბანკიდან მიღებული საექვო და კანონით განსაზღვრული ზღვარს ზემოთ ოპერაციების რაოდენობის შესახებ, რათა გაანალიზებული იქნეს მათი შესაბამისობა ბანკის სიდიდესა და საქმიანობასთან.

4. განხილულ და გაანალიზებულ უნდა იქნას ბანკის ადგილზე ინსპექტირების წინა აქტ(ებ)ი, „ფულის გათეთრებასთან“ დაკავშირებულ დარღვევებთან მიმართებაში, აგრეთვე ის საკითხები, რომელთაც მიმდინარე შემოწმების დროს უნდა მიექცეს ყურადღება.

5. „ფულის გათეთრების“ რისკის ოდენობის, პოლიტიკისა და პროცედურების შესრულების ხარისხზე დაყრდნობით შემმოწმებლებმა უნდა განსაზღვრონ, თუ როგორ ასრულებს ბანკი კანონის და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დაწესებულ სხვა მოთხოვნებს.

6. შემმოწმებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ბანკის მენეჯმენტი სრულად აცნობიერებს „ფულის გათეთრებასთან“ დაკავშირებულ რისკს და არ იშურებს ძალისხმევას, რათა ბანკი სრულ შესაბამისობაში იყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების, ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის და თანამშრომელთა ტრენინგების მიმართ დაწესებულ მოთხოვნებთან, რისთვისაც შემოწმების მსვლელობისას:

ა) შემმოწმებლები უნდა შეხვდნენ მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს (ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს) და ბანკის მენეჯმენტს, რათა უკეთ განსაზღვრონ მათი ხედვა კანონთან შესაბამისობის საკითხებში;

ბ) განხილულ უნდა იქნას, რამდენად ართმევს თავს მენეჯმენტი “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის შემუშავებას, შესრულებას, პასუხისმგებლობების განაწილებას, სათანადო საბუთებისა და ინფორმაციის სისტემატიზაციას, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას და თანამშრომლების ტრენინგს. ასევე განხილულ უნდა იქნას “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის დანერგვის ორგანიზაციული სტრუქტურა;

გ) განხილულ უნდა იქნას ნებისმიერი პრობლემა, რომელსაც მენეჯმენტი წააწყდა “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის განხორციელებისას, რაც მიიჩნევს ბანკის მენეჯმენტი ბანკის “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებად;

დ) განხილულ უნდა იქნას დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები, რათა დადგინდეს, დამტკიცებულია თუ არა “ფულის გათეთრები” წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა და პოლიტიკები, ხდება თუ არა უფროსი მენეჯმენტის პერიოდული ინფორმირება “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ჩატარებული საქმიანობის შესახებ ;

ე) ანგარიშგების ფორმის შევსების სისწორის დასადგენად, მოპოვებულ და განხილულ უნდა იქნას წინა შემოწმების შემდგომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გაგზავნილი ანგარიშგების ფორმები.

ვ) განხილულ უნდა იქნას, თუ როგორ მოახდინა ბანკის მენეჯმენტმა საინფორმაციო სისტემის დანერგვა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება იმ ოპერაციების იდენტიფიცირება, რომლებიც კანონის შესაბამისად ექვემდებარება ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის შეტყობინებას. ასევე შეუძლია თუ არა სისტემას სამუშაო დღის განმავლობაში განხორციელებული მრავალმხრივი ოპერაციების აღმოჩენა, რომელიც აჭარბებს 30 000 ლარს (შემოწმებისათვის ინსპექტორებმა უნდა მოითხოვონ მენეჯმენტისაგან შერჩეული პერიოდის ოპერაციების სიის მიწოდება, რომელიც ამ სისტემის მიერ იქნა იდენტიფიცირებული);

ზ) განხილულ უნდა იქნას კონკრეტული პერიოდის სადეპოზიტო და ელექტრონული ოპერაციები და დადგინდეს, აცნობა თუ არა მენეჯმენტმა პოტენციურად შეტყობინებას დაქვემდებარებული ოპერაციები ფინანსური მონიტორინგის სამსახურს;

თ) განსაზღვრულ უნდა იქნას, მოახდინა თუ არა ბანკის მენეჯმენტმა ბანკის შვილობილი საწარმოების „ფულის გათეთრების“ რისკის შეფასება და დანერგა თუ არა შესაბამისი პოლიტიკა, პროცედურები და შიდა კონტროლის სისტემა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ შვილობილ საწარმოებზე პირდაპირ არ ვრცელდება “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნები. შვილობილი საწარმოების მიერ “ფულის გათეთრების” შემთხვევაში, ბანკი დგას რეპუტაციის შელახვის რისკის წინაშე).

ი) უნდა დადგინდეს რა ზომებს მიმართავს ბანკის მენეჯმენტი თანამშრომელთა მხრიდან „ფულის გათეთრების“ პოლიტიკისა და პროცედურების დარღვევის შემთხვევაში.

6. შემოწმების პროცედურები

1. შემოწმების სრულყოფილად განხორციელების მიზნით შემმოწმებლები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ და მიიღონ ბანკში „ფულის გათეთრებასთან“ დაკავშირებული ყველა ის დოკუმენტაცია და ინფორმაცია, რომელსაც ისინი ჩათვლიან საჭიროდ.

2. წინასწარი შესწავლის მიზნით შემმოწმებლებმა უნდა განიხილონ შემდეგი დოკუმენტაცია და ინფორმაცია:

ა) ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა, მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის (ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის) და მისი სუბორდინაციის მინიშნებით;

ბ) „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ბანკის პოლიტიკა და პროცედურები;

- გ) ბანკის „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკა და პროცედურები;
- დ) შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები;
- ე) საექვო ოპერაციებთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები;
- ვ) ბანკის მიერ მომზადებული „ფულის გათეთრების“ რისკის შეფასების ანალიზი თითოეული საბანკო პროდუქტის და მომსახურების მიხედვით;
- ზ) შიდა აუდიტის ანგარიშები (აქტები) „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შემოწმებთან დაკავშირებით;
- თ) „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში მომზადებული სხვა ანგარიშები;
- ი) მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის (ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის) სამუშაოს აღწერილობა;
- კ) „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ბანკის სასწავლო პროგრამა;
- ლ) ბანკის მიერ შეთავაზებული ახალი (ბოლო შემოწმების შემდგომ) პროდუქტები და მომსახურება, მათთან დაკავშირებული „ფულის გათეთრების“ რისკის შეფასების ანალიზი;
- მ) მაღალი რისკის მქონე ანგარიშების სია;
- ნ) ანგარიშების სია, რომელთა ნაშთი აჭარბებდა კანონით განსაზღვრულ ზღვარს;
- ო) ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემული მონიტორინგს დაქვემდებარებული საბანკო ოპერაციის (გარიგების) ანგარიშების ფორმები;
- პ) შემმოწმებლების მიერ განსაზღვრული ზღვარის ზემოთ და განსაზღვრული პერიოდისათვის ინფორმაცია ბანკის მიერ ფულადი გზავნილებებით განხორციელებული ოპერაციების ტიპების შესახებ, მათი აღწერილობა, ფულადი გზავნილებით სისტემებით განხორციელებული ოპერაციების სია (ჩარიცხვები, გადარიცხვები);
- ჟ) კორესპოდენცია ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან;
- რ) დროის გარკვეულ პერიოდში გახსნილი ანგარიშები და მათი შესაბამისობა „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკასთან, რათა შემმოწმებელი დარწმუნდეს, თუ რამდენად იცავს ბანკი კლიენტის იდენტიფიკაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს;
- ს) ბანკის მიერ გაცემული, დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხების სია;
- ტ) ბანკის მიერ გაცემული, არაუზრუნველყოფილი სესხების სია;
- უ) შემმოწმებლების მიერ განსაზღვრული ნაშთის თანხობრივი ზღვარის ზემოთ არარეზიდენტი კლიენტების ანგარიშების სია, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- * ანგარიშის მფლობელის ვინაობა და ანგარიშის ნომერი;
 - * ანგარიშის მფლობელის მისამართი;
 - * ანგარიშის მფლობელის წარმომადგენლის (ნდობით აღჭურვილი პირის) ვინაობა და მისამართი;
 - * ანგარიშის მფლობელის საიდენტიფიკაციო კოდეები და მათი განმარტებანი;
 - * ანგარიშის სახე, გახსნის თარიღი, საშუალო ნაშთი ;
- ფ) მოკორესპონდენტო ბანკების სია;

ქ) ბანკის ფილიალების, სერვის ცენტრების და წარმომადგენლობების სია.

3. მონიტორინგს დაქვემდებარებულ და საექვო გარიგებების გამოვლენასთან დაკავშირებით ბანკის თანამშრომელთა ცოდნის დასადგენად შემმოწმებელი უნდა გაესაუბროს შესაბამის თანამშრომლებს.

4. შემმოწმებლის მიერ ასევე უნდა განისაზღვროს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ფილიალებსა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისა და პროცედურების შესრულებაზე. შემმოწმებელი უნდა გაესაუბროს რამდენიმე ასეთ თანამშრომელს და შეაფასოს მათი ცოდნა და გამოცდილება „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესწევთ მათ უნარი უზრუნველყონ შესაბამისობა ბანკის პოლიტიკასთან.

5. შემმოწმებელი უნდა დარწმუნდეს, ფლობენ თუ არა ბანკის ფილიალები და სხვა სტრუქტურული ერთეულები ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული არაკოპირირებადი ქვეყნების, ოფშორული ზონების, ტერორისტული ორგანიზაციებისა და ტერორისტთა სიებს.

7. „იგნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკა

1. ბანკების წარმატებულად ფუნქციონირების, მათ შორის „ფულის გათეთრებასა“ და ტერორიზმის დაფინანსებაში მისი შესაძლო გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, ძალზე მნიშვნელოვანია ბანკის მიერ „იგნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკის გათვითცნობიერება და პრაქტიკაში გატარება, რაც თავის მხრივ გულისხმობს მისი კლიენტების და მათი საქმიანობის შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შესწავლას.

2. საერთაშორისო გამოცდილებამ ცხადყო, რომ „იგნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკის გატარება უაღრესად ეფექტურია ბანკის კლიენტის საექვო საქმიანობის დროულად გამოვლენის თვალსაზრისით. „იგნობდე შენს კლიენტის“ ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით, ბანკს უნდა ჰქონდეს მისი სპეციფიკის შესაბამისი წესები, რომლითაც მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ბანკის კლიენტების შესწავლის პროცედურები.

3. ეფექტური „იგნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკის შემუშავებისას ძალზე მნიშვნელოვანია ბანკი აცნობიერებდეს, რომ კლიენტის გარეგნულმა მხარემ შეიძლება შეცდომაში შეგიყვანოს მისი შეფასება. პოტენციური კლიენტები შეიძლება ლეგალურ პიროვნებებად იქნან წარმოდგენილი, მაგრამ სინამდვილეში ისინი შეიძლება ახორციელებდნენ უკანონო საქმიანობას ბანკის მეშვეობით. ამასთანავე, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კარგი ანალიზისა და შეფასების გარეშე, კეთილსინდისიერმა და კანონიერად მოქმედმა კლიენტებმა შესაძლოა ზურგი

შეაქციონ ბანკს იმის გამო, რომ მათი საქმიანობა კრიმინალური ელფერის მატარებლად მიიჩნია ბანკმა.

4. ეფექტური „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ბანკის კლიენტების მიერ განხორციელებული ოპერაციების ყოველმხრივი ცოდნა. ამგვარად, აუცილებელია საკმარისი ინფორმაციის შეგროვება „კლიენტის აღწერილობის“ შესაქმნელად, რაც საშუალებას მისცემს ბანკს შედარებითი უკეთ განსაზღვროს ისეთი გარიგებების ტიპები, რომელშიც ეს კლიენტი შეიძლება მონაწილეობდეს. „კლიენტის აღწერილობამ“ საშუალება უნდა მისცეს ბანკს, გაიგოს კლიენტის მხრიდან ბანკთან გამიზნული ურთიერთობის ყველა დეტალი და რეალურად განსაზღვროს, როდის არის გარიგება საეჭვო.

5. ბანკის „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი კონკრეტული საკითხები:

ა) პროცედურები კლიენტის ზუსტად და სრულყოფილად განსაზღვრასა და იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით;

ბ) პროცედურები ინდივიდუალური შემნახველი სეიფების გამომყენებელი კლიენტებთან დაკავშირებით, იმისათვის რომ, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ იმის განსაზღვრას, თუ ვის ეკუთვნის ანგარიშები და ვინ არიან ის პირები, რომლებიც ბანკის ინდივიდუალურ შემნახველ სეიფებს იყენებენ;

გ) პროცედურები ყველა იმ კლიენტის იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთის და ინფორმაციის მოპოვებისთან დაკავშირებით, რომელთაც მნიშვნელოვანი ბიზნეს ოპერაციის განხორციელება აქვთ გამიზნული;

დ) პროცედურები ისეთი ინფორმაციის მოგროვებასთან დაკავშირებით, რომელიც საკმარისი იქნება „კლიენტის აღწერილობის“ შესაქმნელად, რაც საშუალებას მისცემს ბანკს შეძლებისდაგვარად მაღალი ალბათობით განისაზღვროს ის გარიგებების ტიპები, რომლებშიც შეიძლება კლიენტი მონაწილეობდეს;

ე) პროცედურები იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრონ ბანკებმა ისეთი არაორდინალური გარიგებები ან ისეთი საქმიანობა, რომელიც არ შეესაბამება კლიენტის ჩვეულებრივ საქმიანობას.

8. შიდა კონტროლის პოლიტიკა

1. შემმოწმებლებმა უნდა განიხილონ, არსებობს თუ არა ბანკში შიდა კონტროლის სისტემა „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში და განსაზღვრონ, ადეკვატურად იცავს თუ არა შიდა კონტროლის სისტემა იმისაგან, რომ ბანკი არ იქნას გამოყენებული როგორც „ფულის გათეთრების“ საშუალება და ამ სისტემის მეშვეობით რამდნად შესაძლებელია შესაბამისი შემაკავებელი და გამაწონასწორებელი ღონისძიებების გამოყენება.

2. კანონის თანახმად, „ფულის გათეთრების“ თავიდან აცილების მიზნით, ბანკები ვალდებული არიან განახორციელონ შიდა კონტროლი, რისთვისაც უნდა შეიმუშაონ

შიდა ინსტრუქციები (შიდა კონტროლის წესები) და მიიღონ შესაბამისი ზომები მათი შესრულების მიზნით. ამისათვის ბანკს შემუშავებული უნდა ჰქონდეს შემუშავებული მონაცემთა რეგისტრაციის სისტემა, რომლითაც მოხდება მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია. ამასთან, მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი კადრები ან სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან შიდა კონტროლის პროგრამის შემუშავებასა და ინფორმაციის სისტემატიზაციაზე.

3. ბანკის შიდა ინსტრუქციით განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგი:

- ა) ბანკის კლიენტების იდენტიფიკაციის პროცედურები და მოთხოვნები;
- ბ) კლიენტის იდენტიფიკაციის შედეგად მიღებული და ბანკის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში არსებული სხვა ინფორმაციის მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლებისათვის (სპეციალური სტრუქტურული ერთეულისათვის) გადაცემის პროცედურები;
- გ) მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და შენახვის წესები და პროცედურები;
- დ) საექვო გარიგების გამოვლენისა და ინფორმაციის ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გადაგზავნის წესები. ასევე ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ანგარიშგების სპეციალური ფორმებისა და სხვა მასალებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი (მათ შორის ანგარიშგების სპეციალური ფორმების შევსებისა და ხელმოწერით და, თუ ბანკი საჭიროდ ჩათვლის – ბეჭდით დამოწმების უფლებამოსილების მინიჭებისა და სხვა საკითხები);
- ე) მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობა (სპეციალური სტრუქტურული ერთეულის არსებობის შემთხვევაში, ამ სტრუქტურის, მისი ხელმძღვანელისა და თითოეული თანამშრომლის ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობა);
- ვ) მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ბანკის სხვა თანამშრომლების (სტრუქტურული ერთეულების), მათ შორის ხელმძღვანელი მუშაკების ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობა;
- ზ) ბანკის ხელმძღვანელები, პასუხისმგები მუშაკები და/ან თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან წვდომის უფლება;
- თ) კლიენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ასლების დამოწმების წესი და დამოწმების უფლებამოსილების მქონე თანამშრომელი (თანამშრომლები).

9. კლიენტის იდენტიფიკაცია

1. ბანკმა კლიენტთან არ უნდა დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა მანამ, სანამ საკმარის დონეზე არ მოხდება პოტენციური კლიენტის იდენტიფიკაცია. თუ პოტენციური კლიენტი უარს აცხადებს ნებისმიერი საჭირო ინფორმაციის ბანკისათვის მიწოდებაზე, ასეთ კლიენტთან ბანკმა ურთიერთობა არ უნდა

დაამყაროს, ხოლო გარკვეული პირობითი ურთიერთობის დამყარების შემდეგ თუ კლიენტი ბანკს არ წარუდგენს საჭირო ინფორმაციას, ბანკმა ასეთ კლიენტთან ურთიერთობა უნდა შეწყვიტოს.

2. ბანკმა უნდა განახორციელოს კლიენტის იდენტიფიკაცია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს საბანკო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირის შემთხვევაში:

* სახელი და გვარი;

* მოქალაქეობა;

* დაბადების თარიღი;

* საცხოვრებელი ადგილი;

* პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი და მოქალაქის პირადი ნომერი პირადობის მოწმობის (პასპორტის) მიხედვით.

* თუ ფიზიკური პირი რეგისტრირებულია როგორც ინდივიდუალური მეწარმე – შესაბამისი რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანო;

ფიზიკური პირის იდენტიფიკაციისათვის პირადობის მოწმობის და პასპორტის გარდა პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც პირს არ შეიძლება გააჩნდეს თან პირადობის მოწმობა ან პასპორტი (მაგალითად, არასრულწლოვანი პირის სახელზე ანაზრის გახსნის შემთხვევაში).

ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი შემთხვევაში შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოს მიერ გაცემული პასპორტი;

გ) იურიდიული პირის შემთხვევაში:

* სრული სახელწოდება;

* საქმიანობის საგანი;

* იურიდიული მისამართი (ფილიალის ან წარმომადგენლობის შემთხვევაში, როგორც მისი მისამართი, ასევე სათაო დაწესებულების მისამართი);

* მარეგისტრირებელი ორგანო, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი;

* გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

* ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები;

* იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს მონიტორინგს დაქვემდებარებულ კონკრეტულ საბანკო ოპერაციაში (გარიგებაში);

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს:

* სრული სახელწოდება;

* იურიდიული მისამართი;

* სამართლებრივი აქტი ან სხვა დოკუმენტი, რომლითც შექმნილია (ან რომლის საფუძველზეც მოქმედებს) ეს ორგანიზაციული წარმონაქმნი;

* გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

* ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები;

* იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელიც წარმოადგენს ასეთ ორგანიზაციულ წარმონაქმნს მონიტორინგს დაქვემდებარებულ კონკრეტულ საბანკო ოპერაციაში (გარიგებაში);

არარეზიდენტი იურიდიული პირის მიერ მისი იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი შესაბამისი ქვეყნების სათანადო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები უნდა იყოს ლეგალიზებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. თუ იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტები ან ბანკში არსებული ინფორმაცია იძლევა საშუალებას, ზემოაღნიშნულის გარდა, უნდა დაფიქსირდეს აგრეთვე შემდეგი მონაცემები:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში;

* მამის სახელი;

* დაბადების ადგილი;

* პირადობის მოწმობის (პასპორტის) გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი;

* დროებითი (ფაქტობრივი) საცხოვრებელი ადგილი (როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ), თუ იგი არ ემთხვევა რეგისტრირებულ საცხოვრებელ ადგილს;

* ძირითადი საქმიანობა და დაკავებული თანამდებობა;

* საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) რეკვიზიტები;

* ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;

* თუ ფიზიკური პირი რეგისტრირებულია როგორც ინდივიდუალური მეწარმე – გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი.

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში (აგრეთვე იმ ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიული პირს):

* დამფუძნებელი/პარტნიორი პირების, აქციების, წილის, პაის. და ა.შ. 20 და მეტი პროცენტის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები;

* ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი;

* საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) რეკვიზიტები.

4. ბანკმა კლიენტის იდენტიფიკაციისათვის შემუშავებული საკუთარი პოლიტიკის შესაბამისად გარდა ზემოაღნიშნული ინფორმაციისა, შეძლება მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში:

* სამსახურის სარეგისტრაციო ნომერი, დამქირავებლის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, უშუალო უფროსის სახელი, გვარი და თანამდებობა;

* ინფორმაცია თანხების წყაროს შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება დიდი ოდენობის ნაღდი ფულით დეპოზიტებს ან ვალუტის კონვერტირებას.

შენიშვნა: „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის ადეკვატური სისტემა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკა გულისხმობს კლიენტის საცხოვრებელი და/ან სამუშაო ადგილებზე დარეკვას, ან კლიენტის შემოწმების მიზნით წინა მომსახურე ბანკთან დაკავშირებას. თუ კლიენტის საცხოვრებელი და/ან სამუშაო ადგილებიდან არცერთი არ იმყოფება იმ რაიონში, რომელსაც ბანკი ან ფილიალი ემსახურება, გამორკვეული უნდა იქნას რატომ უნდა კლიენტს მიიღოს მომსახურება სხვა რაიონში მდებარე ბანკისაგან.

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში:

* ინფორმაცია საქმიანობის შესახებ სხვა მომსახურე ბანკიდან;

* თუ ამის საშუალება არის, საწარმოს შემოწმება ვიზუალურად, რათა დარწმუნდეს ბანკი მის ფაქტიურ არსებობაში და აქვს თუ არა ამ საწარმოს იმის შესაძლებლობა, რომ განახორციელოს წარმოდგენილ დოკუმენტებში აღწერილი მომსახურება;

* თანხების წარმოშობის წყაროს განხილვა, დიდი ოდენობის ნაღდი ფულით განხორციელებულ გარიგებასთან დაკავშირებით;

5. ყველა შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშის ბენეფიციარი მფლობელების, ფიზიკური თუ იურიდიული პირის იდენტიფიკაცია. ანგარიშის ბენეფიციარი მფლობელი არის პირი ან კომპანია, რომელიც ძირითადად ფლობს და აკონტროლებს თანხებს, ზოგიერთ შემთხვევაში ანგარიშის ბენეფიციარი მფლობელები შენიღბული არიან მინდობილი პირების ან კომპანიების ანგარიშებით, ანუ პირი რომლის სახელზეც ანგარიში არის გახსნილი, მოქმედებს ბენეფიციარი მფლობელის მითითებით და ბენეფიციარი მფლობელის სახელი არ ფიგურირებს ანგარიშზე.

10. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები

1. არსებობს ორი სახის გარიგება, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს და ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის შეტყობინებას:

ა) ნებისმიერი საექვო ხასიათის გარიგება მიუხედავად თანხის ოდენობისა;

ბ) გარგებები კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს ზემოთ.

2. მონიტორინგს ექვემდებარება ასევე საექვო გარიგების დადების მცდელობა და სხვა ფაქტი (გარემოება), რომელიც ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წერილობითი მითითებების შესაბამისად, შეიძლება უკავშირდებოდეს „ფულის გათეთრებას“.

3. ცალკეულ შემთხვევებში, გარდა ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული გარიგებებისა, მონიტორინგს ექვემდებარება კონკრეტული სახის გარიგებები რომელთა ჩამონათვალიც განისაზღვრება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ.

11. საექვო ქმედება და გარიგებები

1. საექვო გარიგება არის გარიგება (მიუხედავად მისი თანხის ოდენობისა), რომელზედაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი დაიდო ან შესრულდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით (არა აქვს დასაბუთებული ეკონომიკური (კომერციული) შინაარსი ან აშკარა კანონიერი მიზანი, არ შეესაბამება გარიგების მონაწილე პირის ჩვეულებრივ საწარმო საქმიანობას, შეუძლებელია გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია ან გარიგების თანხის წარმოშობის დადგენა და ა.შ.), ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირი დაკავშირებულია ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირებთან, ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირის იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი არის არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლე) ზონაში, ან რომ მისი თანხის გადარიცხვა ხდება ასეთ ზონაში ან ასეთი ზონიდან.

2. ბანკის მიერ კლიენტის საექვოდ მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არსებობს საქმიანობის კატეგორიები, რომლებიც თავისი ბუნებით საექვოა და რომელთაც ბანკებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რადგან არსებობს პოტენციური ალბათობა იმისა, რომ კლიენტმა უკანონო საქმიანობა ჩაიდინოს ბანკში ან მისი მეშვეობით. ასეთი ოპერაციები შეიძლება იყოს:

- ა) კლიენტის მიერ მოწოდებული არასაკმარისი, ყალბი ან საექვო ინფორმაცია;
- ბ) ფულადი დეპოზიტები, რომლებიც არ შეესაბამებიან კლიენტის საქმიანობას და/ან “კლიენტის აღწერილობას”;
- გ) ფულადი ინსტრუმენტების ყიდვა და/ან დეპონირება, რაც არ შეესაბამება კლიენტის საქმიანობას და/ან “კლიენტის აღწერილობას”;
- დ) ფულადი გადარიცხვები, რაც არ შეესაბამება კლიენტის საქმიანობას და/ან “კლიენტის აღწერილობას”;
- ე) თანხების საერთაშორისო გადარიცხვები, რაც არ შეესაბამება კლიენტის ბიზნეს საქმიანობას და/ან “კლიენტის აღწერილობას”;
- ვ) ოპერაციები “ოფშორული” ზონების ან “არაკოოპერირებადი ზონების” საშუალებით (ეს უკანასკნელი დადგენილია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ);
- ზ) იმგვარი სტრუქტურის მქონე გარიგებები და/ან გარიგებათა ერთობლიობა, რომლებიც არ ითვალისწინებს იურიდიული დოკუმენტაციის მოთხოვნა-შენახვას;
- თ) კლიენტი მიეკუთვნება ან მისი თანხების წარმოშობის წყარო არის ქვეყნიდან, რომელსაც გააჩნია არაადეკვატური “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტები, ასევე ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) და უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის (OFAC) მიერ აღიარებულია მაღალრისკიან ქვეყანად ან მიეკუთვნება არაკოოპერირებად ქვეყანას ან ტერიტორიას;
- ი) კლიენტი გულგრილია საბანკო გადასახადების ოდენობასთან და მზად არის გადაიხადოს მნიშვნელოვანი თანხები, რაც მისივე საქმიანობიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს ეკონომიურად გამართლებული;
- კ) კლიენტის საქმიანობას არა აქვს ეკონომიკური (კომერციული) შინაარსი;
- ლ) კლიენტის ქცევა მიუთითებს, რომ იგი მალავს ინფორმაციას ან წარმოდგენილი აქვს ყალბი ინფორმაცია;
- მ) კლიენტი ჩართულია ისეთ საქმიანობაში, რომელიც “ფულის გათეთრების” მხრივ მაღალრისკიანად არის ცნობილი, მაგალითად იმპორტ/ექსპორტი, აზარტული თამაშები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საიუველირო მაღაზიები, ვალუტის გაცვლითი ოპერაციები და სხვა;
- ნ) კლიენტი იღებს სესხს ბანკიდან და სესხის უზრუნველსაყოფად დებს დეპოზიტს, რათა თავი აარიდოს პირადი და ფინანსური ინფორმაციის წარდგენას.

12. კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს ზემოთ გარიგებები

ბანკების მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ანდა მისი დანაწევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა

ერთობლიობა, თუ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში და თავისი შინაარსით იგი წარმოადგენს შემდეგ გარიგებას (ოპერაციას):

- ა) თანხის მიღება წარმომდგენზე საბანკო ჩეკით, აგრეთვე ერთი ნომინალის ბანკნოტის სხვა ნომინალის ბანკნოტზე გადაცვლა;
- ბ) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით;
- გ) არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლედ) ზონაში ან ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ ბანკში საბანკო ანგარიშის მფლობელის მიერ თანხის გადმორიცხვა საქართველოში არსებულ საბანკო ანგარიშზე ან თანხის გადარიცხვა საქართველოდან ასეთ ზონაში რეგისტრირებულ ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
- დ) არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლედ) ზონაში ან ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირის მიერ სესხის გაცემა ან მიღება, ან ასეთი პირის მიერ საქართველოში არსებული საბანკო დაწესებულების მეშვეობით განხორციელებული ნებისმიერი სხვა გარიგება (ოპერაცია) ;
- ე) სხვა სახელმწიფოში ანონიმური პირის საბანკო ანგარიშზე თანხის საქართველოდან გადარიცხვა ან ანონიმური პირის სხვა სახელმწიფოში არსებული საბანკო ანგარიშიდან თანხის საქართველოში გადმორიცხვა;
- ვ) საწარმოს საწესდებო კაპტალში ფულადი სახსრების შეტანა, გარდა “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ საწარმოთა აქციების შეძენისა;
- ზ) ფიზიკური პირის მიერ საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების ნაღდი ფორმით განთავსება და შემდგომ გადარიცხვა;
- თ) სესხის გაცემა წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფით;
- ი) სესხის გაცემა უზრუნველყოფის გარეშე;
- კ) იურიდიული პირის რეგისტრაციიდან 3 თვის განმავლობაში თანხის მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა ან ამ ანგარიშიდან გადარიცხვა;
- ლ) გრანტის ან საქველმოქმედო დახმარების თანხის ანგარიშზე ჩარიცხვა ან ანგარიშიდან გადარიცხვა.

13. მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის ან სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი

შემმოწმებლის მიერ განხილულ უნდა იქნეს, აკისრია თუ არა მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს (სპეციალურ სტრუქტურულ ერთეულს) შემდეგი ფუნქციები:

- ა) მონიტორინგის პროცესის ორგანიზება, “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებითა და ბანკის შიდა

ინსტრუქციით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი ინსტრუქციით გათვალისწინებული წესითა და პერიოდულობით;

ბ) ბანკის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან მიღებული ინფორმაციის (მათ შორის, პირების საიდენტიფიკაციო მონაცემების, საბანკო ოპერაციების (გარიგებების) შესახებ ინფორმაციის) გაანალიზება, მონიტორინგს დაქვემდებარებული საბანკო ოპერაციების (გარიგებების) გამოვლენა, მონიტორინგს დაქვემდებარებული საბანკო ოპერაციების (გარიგებების) თაობაზე ანგარიშგების სპეციალური ფორმების შევსების, დამოწმების და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენის უზრუნველყოფა ბანკის შიდა ინსტრუქციით განსაზღვრული წესით, მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) სისტემატიზაცია და შენახვა. (საბანკო ოპერაციის (გარიგების) ან მისი მონაწილე პირის საექვოდ მიჩნევის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის შესაბამისი ანგარიშგების ფორმის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, აგრეთვე ანგარიშგების ფორმების ხელმოწერის უფლებამოსილება ბანკის შიდა ინსტრუქციით შეიძლება მიენიჭოს როგორც მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს (სპეციალური სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს), აგრეთვე ბანკის იმ ხელმძღვანელს, რომელიც შიდა ინსტრუქციის თანახმად კურიერებს მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს);

გ) უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საკითხებთან დაკავშირებით ბანკის სხვა თანამშრომლების კონსულტირება და სპეციალური სასწავლო პროგრამების ორგანიზება;

დ) შიდა ინსტრუქციით დადგენილი წესითა და პერიოდულობით ბანკის ხელმძღვანელობისათვის მონიტორინგის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე წერილობითი ანგარიშის, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ბანკის შიდა ინსტრუქციის სრულყოფის თაობაზე წინადადებების მომზადება და წარდგენა.

14. წარმოებული ოპერაციები და მომსახურება

შემმოწმებლის მიერ განხილულ უნდა იქნას სხვადასხვა საბანკო ოპერაციის (გარიგების) პროცედურები (ნაღდი და უნაღდო ოპერაციები, დეპოზიტები, სესხების გაცემა და დაფარვა, ელექტრონული გადარიცხვების სისტემა და სხვა) და შემოწმებით უნდა განისაზღვროს:

ა) ხდება თუ არა საჭირო ინფორმაციის მიღება კლიენტებისაგან;

ბ) სწორად ხდება თუ არა ყოველ გარიგებაზე სათანადო დოკუმენტების შექმნა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დამტკიცება/ხელმოწერის პროცედურების ჩატარება;

გ) შექმნილია თუ არა შიდა კონტროლის ადეკვატური სისტემა, რომლითაც მაქსიმალურად იქნება თავიდან აცილებული კლიენტსა და ბანკის თანამშრომელს შორის საექვო გარიგება;

დ) სწორად ხდება თუ არა გარიგებების აღრიცხვა;

ე) არსებობს თუ არა კლიენტების იდენტიფიკაციის ადეკვატური პროცედურები, როგორცაა ფაქსიმილია, პირადი ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, ფოტოსურათი და სხვა;

ვ) რა კეთდება იმისათვის, რომ შემოწმდეს კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მაგალითად ოფიციალური დოკუმენტაცია, ხდება თუ არა ტელეფონით დაკავშირება კლიენტის სამსახურთან, ხდება თუ არა რეკომენდაციების გადამოწმება და სხვა;

ზ) რა კეთდება იმისათვის, რომ ბანკი რეგულარულად აანალიზებდეს კლიენტის მიერ განხორციელებულ გარიგების შესაბამისობას მის ჩვეულებრივ საქმიანობასთან;

თ) მენეჯმენტის პოლიტიკა სატრასტო და სახელობით ანგარიშებთან მიმართებაში, არსებობს თუ არა პროცედურები ანგარიშის ნამდვილი მფლობელების ამოცნობისათვის.

შენიშვნა: მიზანშეწონილი იქნება თუ შემოწმდება რამდენიმე კლიენტის ანგარიში და ის გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ანგარიშების წარდგენის გვერდის ავლას.

15. საკრედიტო საქმიანობა

1. შემმოწმებელმა უნდა განიხილოს ახდენს თუ არა ბანკი “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სესხების დაყოფას და იდენტიფიცირებას როგორც მაღალრისკიანი, უჩვეულო და საეჭვო, და თუ ახდენს, რა ტიპის სესხებს აკუთვნებს ამ კატეგორიებს.

2. შემმოწმებლის მიერ შერჩეულ უნდა იქნას “ფულის გათეთრების” მაღალი რისკის მქონე სესხების ნიმუშები, ისეთი როგორცაა ნაღდი ფულით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი სესხები, კაზინოებზე გაცემული სესხები და ვალუტით მოვაჭრეებზე გაცემული სესხები, ასევე სესხები რომლებიც არ შეესაბამება კლიენტის ჩვეულებრივ საქმიანობას, ასევე ნაღდი ფულით დაფარული სესხები.

3. განხილული უნდა იქნას სესხების უზრუნველყოფის ფაილები, რათა დადგინდეს ამოწმებს თუ არა ბანკი მათ დოკუმენტური და/ან ფიზიკური (რეალური) შემოწმების მეშვეობით.

16. ელექტრონული გზავნილები – ჩარიცხვა

სათანადო დოკუმენტირებისა და ბანკის პოლიტიკასთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, შემმოწმებლის მიერ განხილულ და გაანალიზებულ უნდა იქნას ბანკის პროცედურები და პრაქტიკა ელექტრონული გზავნილებით განხორციელებულ თანხების ჩარიცხვასთან დაკავშირებით, მათ შორის:

ა) როგორ განსაზღვრავს ბანკი ელექტრონული გზავნილების მეშვეობით მიღებული თანხის წარმომავლობას, იმ კუთხით, რომ ხომ არ არის იგი ფინანსური

მონიტორინგის სამსახურის მიერ განსაზღვრული ოფშორული და/ან არაკოოპერირებადი ზონებიდან;

ბ) როგორ განსაზღვრავს ბანკი, ელექტრონული გზავნილებით მიღებული ჩარიცხვა (თანხა, წარმოშობის ადგილი და სხვა) წარმოადგენს თუ არა კლიენტის ჩვეულებრივ საქმიანობას;

გ) როგორ აანალიზებს ბანკი კლიენტის ისეთ ანგარიშებს, რომლებზეც ელექტრონული გზავნილების მეშვეობით მოხდა თანხების ისეთი ოდენობის ჩარიცხვა, რომლებიც შესაძლოა მიზნად ისახავდა ინფორმაციის ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენისაგან გვერდის ავლას;

დ) გაანალიზებულ უნდა იქნას ახორციელებს თუ არა ბანკი ელექტრონულ გზავნილებით თანხების ჩარიცხვებს იდენტიფიცირების გარეშე;

ე) როგორ წარმოებს ბანკში შესაბამისი დოკუმენტაციის და ინფორმაციის შექმნა და მიმოქცევა, რათა დადგინდეს, ხდება თუ არა ელექტრონული გზავნილების მეშვეობით წარმოებული „საეჭვო გარიგებების“ შესახებ ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურისა და მენეჯმენტის ინფორმირება.

17. ელექტრონული გზავნილები – გადარიცხვა

სათანადო დოკუმენტირებისა და ბანკის პოლიტიკასთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, შემმოწმებლის მიმერ განხილულ და გაანალიზებულ უნდა იქნას ბანკის პროცედურები და პრაქტიკა ელექტრონული გზავნილებით განხორციელებულ თანხების გადარიცხვებთან დაკავირებით, მათ შორის:

ა) როგორ განსაზღვრავს ბანკი, ელექტრონული გზავნილების მეშვეობით ხომ არ ხდება თანხის გადარიცხვა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ განსაზღვრულ ოფშორულ და/ან არაკოოპერირებად ზონებში;

ბ) როგორ განსაზღვრავს ბანკი, ელექტრონული გზავნილებით განხორციელებული გადარიცხვები (თანხა, დანიშნულების ადგილი და სხვა), წარმოადგენს თუ არა კლიენტის ჩვეულებრივ საქმიანობას;

გ) როგორ აანალიზებს ბანკი კლიენტის ისეთ ანგარიშებს, რომლებზეც ელექტრონული გზავნილების მეშვეობით მოხდა თანხების ისეთი ოდენობის გადარიცხვა, რომლებიც შესაძლოა მიზნად ისახავდა ინფორმაციის ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენისაგან გვერდის ავლას;

დ) გაანალიზებულ უნდა იქნას ახორციელებს თუ არა ბანკი ელექტრონულ გზავნილებით თანხების გადარიცხვებს იდენტიფიცირების გარეშე;

ე) როგორ წარმოებს ბანკში შესაბამისი დოკუმენტაციის და ინფორმაციის შექმნა და მიმოქცევა, რათა დადგინდეს ხდება თუ არა ელექტრონული გზავნილების მეშვეობით წარმოებული „საეჭვო გარიგებების“ შესახებ ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურისა და მენეჯმენტის ინფორმირება.

18. საკორესპონდენტო ურთიერთობები

1. შემმოწმებლის მიერ მოპოვებულ უნდა იქნას მოკორესპონდენტო ბანკების სია და განხილულ უნდა იქნას მათი გახსნის შესაბამისობა მოქმედ წესებთან.

2. განხილულ უნდა იქნას საკორესპონდენტო ურთიერთობების განხორციელების პროცედურების დამტკიცების მასალები და შემოწმდეს რამდენიმე გარიგება მათი სისწორის დასადგენად, რა ღონისძიებები აქვს გაკეთებული მენჯმენტს იმისათვის რათა დაედგინა, რომ მათ მოკორესპონდენტო ბანკებს გააჩნიათ ადეკვატური „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.

3. განხილულ უნდა იქნას, მდებარეობს თუ არა რომელიმე მოკორესპონდენტო ბანკი, მათ შორის ის ბანკები რომლის საშუალებითაც ხდება თანხის გადარიცხვა და რომლის საშუალებითაც ხდება თანხის ჩარიცხვა, ფიანანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადგენილ ოფშორულ და/ან არაკოოპერირებად ზონებში.

19. კლიენტების გარესაბალანსო გარიგებები

1. შემმოწმებლები უნდა შეხვდნენ ბანკის მენეჯმენტს, რომელიც პასუხისმგებელია გარესაბალანსო გარიგებებზე, განხილულ უნდა იქნას მათი დამუშავების, დოკუმენტირების, დამტკიცების, უფლებამოსილების და სხვა პროცედურები. მოპოვებულ და განხილულ უნდა იქნას დაუმთავრებელი გარესაბალანსო გარიგებები.

2. ბანკის პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, განხილულ უნდა იქნას ბანკის მეშვეობით განხორციელებული გარესაბალანსო საქმიანობის სახეობები.

3. საკრედიტო საქმიანობის სტანდარტებთან შესაბამისობის, გირაოს (უზრუნველყოფის) საკმარისობის და კლიენტის საქმიანობის დასადგენად, ნიმუშად განხილულ უნდა იქნას ბანკის გარესაბალანსო გარიგებები.

4. განხილულ უნდა იქნას ბოლო შემოწმების შემდგომ განხორციელებული რამდენიმე კლიენტის გარესაბალანსო ოპერაცია, რათა განისაზღვროს, რა სახის, მოცულობის და პეროდულობის არის ეს გარიგებები და რამდენად შეესაბამება იგი ამ კლიენტის ჩვეულებრივ საქმიანობას.

5. განხილულ უნდა იქნას რამდენიმე კლიენტის გარესაბაღანსო გარიგების პარტნიორი და შესაძლებლობის ფარგლებში განსაზღვრულ უნდა იქნეს არის თუ არა იგი:

ა) ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადაგენილი ოფშორული ან არაკოოპერირებადი ზონიდან;

ბ) ბანკის კლიენტის მუდმივი პარტნიორი.

20. გარიგებების შესახებ დოკუმენტების წარმოება

1. ბანკი ვალდებულია პირის იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია (დოკუმენტები) შეინახოს ამ პირთან საქმიანი ურთიერთობის გაწყვეტის მომენტიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, ასევე მონიტორინგს დაქვემდებარებული საბანკო ოპერაციის (გარიგების) შესახებ სხვა ინფორმაცია (დოკუმენტები) – საბანკო ოპერაციის (გარიგების) შესრულების დღიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით ასეთი ინფორმაციის (დოკუმენტების) შენახვისათვის უფრო მეტი ვადა არ რის დაწესებული. ამასთან, ინფორმაცია უნდა იყოს შენახული როგორც დოკუმენტური, ასევე ელექტრონული სახით (შესაბამისი მონაცემთა ბაზები და სხვა).

2. საბანკო ოპერაციის (გარიგების) შესახებ, მათ შორის, პირის იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია (დოკუმენტები) ინახება ორიგინალის სახით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – ასლების სახით. ამასთან, ასლები უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიუსის ან თავად ბანკის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. ამ უკანასკნელი მოთხოვნის შესრულების უზრუნველსაყოფად ბანკმა შიდა ინსტრუქციით ან სათანადოდ გაფორმებული გადაწყვეტილებით უნდა განსაზღვროს თანამშრომელი (თანამშრომლები), რომელსაც მიენიჭება ასლის დამოწმების უფლება. ასლი უნდა იყოს დამოწმებული იმგვარად, რომ ნათლად ჩანდეს ვის მიერ არის იგი დამოწმებული და დამოწმების თარიღი.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაციის გარდა, აგრეთვე 5 წლის ვადით შენახვას ექვემდებარება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენილი ანგარიშგების ფორმები (როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით). ამასთან, ბანკში შენახული ნაბეჭდი ანგარიშგების ფორმები უნდა იყოს დამოწმებული ბანკის იმ თანამშრომლის ხელმოწერით, რომელსაც ანგარიშგების ფორმების ხელმოწერის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ბანკის შიდა ინსტრუქციით და, თუ ეს გათვალისწინებულია ბანკის შიდა ინსტრუქციით – ბანკის ბეჭდითაც.

4. ბანკში შენახული ინფორმაცია (დოკუმენტები) სრულად უნდა ასახავდეს შესრულებულ საბანკო ოპერაციას და/ან გარიგებას და მის მონაწილე პირებს. გარდა ამისა, იგი უნდა იყოს აღრიცხული, სისტემატიზირებული და შენახული იმგვარად,

რომ საჭიროების შემთხვევაში (მათ შორის სისხლისსამართლებრივი პროცესების დროს მტკიცებულებების სახით გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში) შესაძლებელი იყოს მისი მოძიება და ამოღება უმოკლეს ვადაში.

21. საინფორმაციო ტექნოლოგიები

1. შემმოწმებლის მიერ განხილულ უნდა იქნას ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიები, რათა განისაზღვროს მისი ოპერატიული მახასიათებლები (უსაფრთხოება, ონლაინი. მონაცემთა პაკეტის დამუშავება, შენახვისა და სწრაფი მოძიების უნარი და სხვა).

2. შემმოწმებლის მიერ განხილულ უნდა იქნას ბანკის შიდა კონტროლი და პროცედურები საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, მაგალითად:

ა) ხელმისაწვდომობის უფლებამოსილება;

ბ) მონაცემთა შეყვანის უფლებამოსილება;

გ) ანგარიშგების მომზადება და გავრცელება;

დ) სისტემის ადმინისტრირების უფლებამოსილება;

ე) მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების დონე.

3. შემმოწმებლების მიერ განხილულ უნდა იქნას:

ა) საინფორმაციო ტექნოლოგიების მიერ კლიენტისა და გარიგებების შესახებ მონაცემთა ბაზის მიღების, შენახვისა და განახლების უნარი, მიმდინარე სამართლებრივ მოთხოვნებთან მიმართებაში.

ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის უნარი გაანალიზოს და აღწეროს:

* ერთჯერადი გარიგება;

* ურთიერთდაკავშირებული გარიგებები, დადგენილ ზღვრულ ნორმასთან მიმართებაში.

გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის შესაძლებლობა, ფინანსური მონიტორინგის სამსახურში წარსადგენი ანგარიშგებების დროულად და სრულყოფილად მომზადებაზე და უსაფრთხოდ გადაგზავნაზე.

დ) სისტემაში შემავალი ინფორმაციისა და მონაცემების შენახვისათვის აუცილებელი დაცვისა და უსაფრთხოების ხარისხი და დონე.

4. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის მიერ ოპერაციის დამუშავების სისწორის განსაზღვრის მიზნით განხილულ უნდა იქნას რამოდენიმე ოპერაცია.

22. შიდა აუდიტი

1. შემმოწმებლების მიერ განხილული უნდა იქნას ბანკის შიდა აუდიტის პოლიტიკა და პროცედურები, რათა დადგინდეს:

ა) რამდენად ადეკვატურად მოიცავს იგი “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში ბანკის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემოწმების სკიოხებს;

ბ) უზრუნველყოფს თუ არა იგი “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის პერიოდულ გადასინჯვას და მოიცავს თუ არა ეს გადასინჯვა მოქმედ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობას, ბანკის საქმიანობის ყველა სფეროს (სატრასტო, კერძო საბანკო მომსახურება, კომერციული, ელექტრონული გადარიცხვები, საკასო ოპერაციები);

გ) უზრუნველყოფს თუ არა იგი “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლისათვის ბანკის მიერ გატარებული პრაქტიკული ღონისძიებების შესაბამისობის შემოწმებას ბანკის მიერ დადგენილ პოლიტიკასთან, მოქმედი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

2. შემმოწმებლების მიერ განხილული უნდა იქნას, შიდა აუდიტის მეშვეობით ფაქტიურად წარმოებს თუ არა “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში შიდა კონტროლის სისტემის სისტემატური განხილვა და მისი ადეკვატურობისა და ეფექტურობის დადგენის მიზნით განხილულ უნდა იქნას:

ა) როდის ჩატარდა ბოლო განხილვა;

ბ) რა გამოვლინდა განხილვის შედეგად;

გ) გაითვალისწინა თუ არა ადმინისტრაციამ შიდა აუდიტის მიერ მომზადებული რეკომენდაციები;

დ) როდის არის დაგეგმილი შემდეგი შიდა აუდიტორული შემოწმება.

23. სწავლება (ტრეინინგი)

1. ვინაიდან “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები საქართველოში წარმოადგენს სიახლეს და მისი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება საქართველოში მცირეა, შემმოწმებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ბანკის პოლიტიკაზე თანამშრომელთა სწავლების პროგრამების შედგენასა და განხორციელებაზე.

2. შემმოწმებელმა უნდა განსაზღვრონ:

ა) არიან თუ არა ბანკის თანამშრომლები შესაბამისად მომზადებულნი “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში;

ბ) რა სახისა და რა ინტენსივობის სწავლების პროგრამების ჩატარება უზრუნველყო ბანკის მენეჯმენტმა და როგორ აპირებს მის განვითარებას;

გ) რა სახის ტრენინგები ჩატარდა ბანკის თანამშრომლებისათვის და იყო თუ არა კონტროლი ასეთ ტრენინგებზე დასწრებაზე;

დ) უზრუნველყოფს თუ არა ბანკის მენეჯმენტი თავიანთი სისტემის ყველა თანამშრომლებისათვის სასწავლო პროგრამების მოწყობას.

24. “ფულის გათეთრების” რისკის სიდიდის შეფასება

1. შემმოწმებლებმა უნდა შეაფასონ და განსაზღვრონ ბანკში “ფულის გათეთრების” რისკის დონე, რაც ნიშნავს, რომ შეფასებულ იქნეს ბანკის პოლიტიკა, პროცედურები და პრაქტიკა, თუ რამდენად არის შესაძლებელი საბანკო საქმიანობის განხორციელებისას ბანკი გამოყენებულ იქნას “ფულის გათეთრების” საქმიანობაში.

2. ბანკის მენეჯმენტთან ერთად განხილულ უნდა იქნას თუ როგორია “ფულის გათეთრების” რისკის დონე ბანკში.

3. ბანკში “ფულის გათეთრების” რისკის დონე ფასდება როგორც:

ა) დაბალი, თუ ბანკის “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის საქმიანობის პოლიტიკაში, პროცედურებში და პრაქტიკაში არსებობს უმნიშვნელო სისუსტეები, რომელთა გამოსწორება შეიძლება ნორმალური საქმიანობის პროცესში. ასეთ ნაკლოვანებათა ხასიათი და ხარისხი, როგორც წესი არ არის მნიშვნელოვანი, თუმცა თუ მათ არ მიეცა სათანადო ყურადღება, შეიძლება გადაიზარდოს მნიშვნელოვან პრობლემებში. ზედამხედველობის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება იმით, რომ ასეთმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ჩვეულებრივი

საქმიანობის პირობებში აუცილებელი მცირე გამოსასწორებელ ღონისძიებათა გატარება.

ბ) საშუალო, თუ ბანკის “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის საქმიანობის პოლიტიკაში, პროცედურებში და პრაქტიკაში არსებობს შედარებით მნიშვნელოვანი სისუსტეები, რომელთა გამოსწორებისათვის გატარებული უნდა იქნას სათანადო ღონისძიებები. ასეთი ბანკი შეიძლება არღვევდეს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. ასეთ ნაკლოვანებათა და დარღვევების ხასიათი და ხარისხი როგორც წესი, არ უნდა ატარებდეს სისტემატურ ხასიათს და თუ მათ არ მიეცა სათანადო ყურადღება, შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ბანკის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ადეკვატური ღონისძიებების გატარებაზე და რისკის დონის გაუარესებაზე. ასეთი ბანკი დარღვევებისა და ნაკლოვანების გამოსასწორებლად საჭიროებს დამატებითი ზედამხედველობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადეკვატური ღონისძიებათა გატარება.

გ) მაღალი, თუ ბანკის “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის საქმიანობის პოლიტიკაში, პროცედურებში და პრაქტიკაში არსებობს სერიოზული სისუსტეები და ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორებისათვის უმოკლეს ვადებში გატარებული უნდა იქნას სათანადო ღონისძიებები. ასეთი ბანკი სისტემატურად არღვევს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. ასეთ ნაკლოვანებათა და დარღვევების ხასიათი და ხარისხი როგორც წესი, ატარებს სისტემატურ ხასიათს, ბანკში მნიშვნელოვანწილად არ ტარდება “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ადეკვატური ღონისძიებები, რის გამოც ბანკი შეიძლება მიმზიდველი იყოს “ფულის გათეთრების” ოპერაციების გამოსაყენებლად და სერიოზული საფრთხე დაემუქროს ბანკის უსაფრთხოებისა და სტაბილურობას. ასეთი ბანკი დარღვევებისა და ნაკლოვანების გამოსასწორებლად საჭიროებს სპეციალურ საზედამხედველო ღონისძიებების გატარებას და მონიტორინგს.

25. შეხვედრა (შეხვედრები) მენეჯმენტთან

1. მენეჯმენტმა უნდა იცოდეს ნებისმიერი, განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც გადაუდებელ გამოსწორებას საჭიროებს. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მასში ჩართულნი არიან ბანკის კონკრეტული თანამშრომლები, რომლებიც სერიოზულად არღვევენ კანონს, სხვა ნორმატიულ აქტებს და/ან ბანკის შიდა პოლიტიკას და პროცედურებს. ამასთან, ნებისმიერ დროს უნდა შედგეს შეხვედრები შესაბამის მენეჯმენტთან და შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებთან, როდესაც შემოწმების პროცესში ადგილი

ექნება რაიმე მნიშვნელოვან აღმოჩენას, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ბანკის მცდელობას “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლაში საქმეში.

2. მენეჯმენტთან შეხვედრა შემოწმების შედეგებისა და რეკომენდაციების განხილვის მიზნით უნდა შედგეს შემოწმების დამთავრების შემდგომ. მენეჯმენტის ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს განმეორებად შეცდომებზე, რომელთაც წინა შემოწმებების დროს ჰქონდათ ადგილი. მენეჯმენტის რეაგირება და გეგმიური მაკორექტირებელი ღონისძიება გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ უნდა გადაისინჯოს.

26. შემოწმების აქტი

1. შემოწმების აქტი მზადდება “საქართველოს ეროვნული ბანკის” შესახებ კანონის 59-ე მუხლის, “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად. შემოწმების აქტში არსებული ინფორმაცია ემყარება ბანკის ჩანაწერებს და იმ უწყისებს, რომლებიც ბანკის ადმინისტრატორებმა და სხვა თანამშრომლებმა წარუდგინეს შემოწმებლებს.

2. “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შემოწმების დასკვნა შედგენილ უნდა იქნას ცალკე აქტად.

3. შემოწმების აქტმა უნდა მოიცვას შემდეგი ინფორმაცია:

ა) ბანკის საქმიანობაში “ფულის გათეთრების” შესაძლებლობების რისკის შეფასების მოკლე მიმოხილვა და რისკის დონის განსაზღვრა და შეფასება;

ბ) ბანკში “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისობა მოქმედ კანონთან, სხვა ნორმატიულ აქტებთან და მათი ადეკვატურობის განსაზღვრა ბანკის სპეციფიკასა და პრაქტიკასთან;

გ) ბანკის პრაქტიკა “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებაში და მათი შესაბამისობა ბანკის პოლიტიკასა პროცედურებთან;

დ) “ფულის გათეთრების” ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით ბანკში გამოვლენილი შეუსაბამობების, ნაკლოვანებების, სისუტეებისა და დარღვევების შესახებ;

ე) რეკომენდაციები, სპეციალური მაკორექტირებელი მოთხოვნები და საზედამხედველო ღონისძიებები “ფულის გათეთრების” წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და სისუსტეების გამოსწორებისათვის.

4. შემოწმებლების მიერ მომზადებული შემოწმების აქტი წარდგენილი უნდა იქნეს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის.

5. შემოწმების აქტი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და სხვა პირებისათვის მისი გაცნობა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.